ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა.(ა).ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი**

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: |
| ხარისხის ექსპერტი: **ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე** |
| წევრები: |
| კურიკულუმის ექსპერტი: **მარეხი ნიკოლაძე** |
| კვების დარგში ექსპერტი: **ელენე ფიცხელაური** |
| სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **გელა გელაშვილი** |

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 437371924 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. N6 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | რაიონი ოზურგეთი, დაბა ნარუჯა |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |

| 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | **სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 24 ივლისის ბრძანება MES 6 25 0000912570 და 2025 წლის 7 აგვისტოს ბრძანება MES 6 25 0000960930** |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | **2025 წლის 13-14 აგვისტო** |

| 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი“***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | 115 |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1.ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ ;<br>2.სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ | ქართული | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისადა განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სტატუსის მაძიებელში - ა.(ა).ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში ვიზიტის შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 24 ივლისის N912570 ბრძანების და ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სტატუსის მაძიებელში - ა.(ა).ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში ვიზიტის შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 24 ივლისის N 912570 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს N 960930 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე); ბ) მარეხი ნიკოლაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი); გ) ელენე ფიცხელაური - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი); დ) გელა გელაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი) განახორციელა ვიზიტი სტატუსის მაძიებელ, ა(ა)იპ - ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ში 2025 წლის 13-14 აგვისტოს. ექსპერთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების (შემდგომში - დროებითი წესი) მე-6 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში საქმიანობა განახორციელა წინასწარ შედგენილი გრაფიკის-დღის წესრიგის მიხედვით. თითოეული სტანდარტის, კომპონენტის, კრიტერიუმის და ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იქნა ყველა საკითხი. შედგა ინტერვიუები, მოხდა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა - შეფასება, სივრცის ვიზუალური დათვალიერება, ვიზიტის ბოლოს გამოითქვა ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი შედგა მშვიდ და საქმიან გარემოში. დასრულდა იგი პოზიტიური მოლოდინებით და მზაობით ცვლილებებისადმი. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის წევრებმა მოამზადეს თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებული მიმართულების დასკვნა, რომელიც აისახა ერთიან ფორმაში - ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“.

1. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა პირველი სტანდარტი, მე-4 სტანდარტის პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 კომპონენტები;
2. კურიკულუმის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-2 სტანდარტი და მე-3 სტანდარტი;
3. კვების დარგში ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-4 კომპონენტი;
4. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-5 კონპონენტი;

შედეგი ასეთია: ექსპერტების მიერ პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტის შეფასება დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ პირველი სტანდარტის შეფასებას; მე-2 სტანდარტი ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილად შესაბამისად, დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-2 სტანდარტი შეფასებულია შესაბამისად; მე-3 სტანდარტი ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილად შესაბამისად, დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-3 სტანდარტი შეფასებულია შესაბამისად; მე-4 სტანდარტი ექსპერტების მიერ შეფასდა ნაწილობრივად შესაბამისად და ის დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-4 სტანდარტის შეფასებას;

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.<br>2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. | | |
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება | ☐ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია 10

1.2. სტრატეგიული განვითარება 14

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა 19

2.2. კურიკულუმის განხორციელება 26

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება 43
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა 46
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება 49
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება 53
4.2. პროცესების მართვა 66
4.3. მატერიალური რესურსი 72
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი 72
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები 73
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება 73
4.7. ფინანსური რესურსი 83

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა.(ა).ი.პ. - ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დეკლარირებული ,,მისია, ხედვა და ღირებულებები", რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: ,,საბავშვო ბაღებში შევქმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი, სადაც აღიარებულია ბავშვის უფლებები, ინტერესები და თავისუფალი არჩევანი"

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მისიით გასაზღვრულია მისი შინაარსობრივი მოთხოვნა, ძირითადი დანიშნულება; იგრძნობა ინსტიტუციურად მდგრად განვითარებაზე ორიენტირება, მისიაში ჩანს დაწესებულების იდენტობა და ძირითადი მიზეზი და მიზანი, რისთვისაც საერთოდ არსებობს ეს დაწესებულება; მოიცავს თემებს - ბავშვის განათლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარება, უფლებები და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ, ა.(ა).ი.პ. - ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დეკლარირებულ ,,მისია, ხედვა და ღირებულებები"-ში, ხედვა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: ,,2029 წლისთვის ვიყოთ ძლიერი საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით, პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდითა და უწყვეტ თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოტივირებული მშობლებით, თემის წევრებით და სხვა დაინტერესებული მხარეებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას".

ეს არის მოკლე და მკაფიო განაცხადი, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების განვითარების საშუალოვადიანი მიზანი და მისწრაფებები. გამომდინარეობს მისიიდან, არის მარტივად გასაგები და მოტივაციის მიმცემი.

დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი სამოქმედო პრინციპები ღირებულებების სახით. ესენია: 1.ბავშვის განვითარებაზე მორგებული უსაფრთხო, პოზიტიური გარემოს შექმნა. 2.სიახლეებზე ორიენტირება. 3.თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა. 4. უწყვეტი განვითარება. 5. მშობლების და თემის ჩართულობის ხელშეწყობა. 6. ბავშვის უფლებების, ინტერესების დაცვა კულტურული და გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით. სწორედ ამ ღირებულებებზეა დაფუძნებული დაწესებულების მიერ შექმნილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების ნაწილში. ჩანს დაწესებულების იმიჯი და საზოგადოებას უყალიბებს შესაბამის მოლოდინებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025), ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი აქვს დოკუმენტი ,,მისია,ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაზიარების მექანიზმი " (ბრძანება 55/4 25/06/2025). აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების, მასში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საბოლოო ჩამოყალიბების პროცესები. განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი. მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია მისია, ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს დანართი 22 - ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება N ბ55. 36251631 ,,დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება და დანართი 23 აღნიშნული ჯგუფის 2025 წლის 12 ივნისის შეხვედრის სხდომის ოქმი N 1; სამუშაო ჯგუფის შექმნაზე გამოცემულ ბრძანებაში არაა გაწერილი, თუ რა საკითხებზე უნდა იმუშაოს ჯგუფმა, მაგრამ ოქმში ჩანს, რომ განხილული აქვთ საკითხები: მისიის, ხედვის და ღირებულებების მნიშვნელობა დაწესებულებისათვის, მისი შემუშავება და საბოლოოდ ჩამოყალიბება გაზიარების ფორმები და ადგილი. განიხილეს სხვადასხვა ვერსიები და მოხდა საბოლოო ჩამოყალიბება წარმოდგენილი სახით. წარმომადგენლობითი ჩართულობა დადასტურებულია ხელმოწერებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025), ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი აქვს დოკუმენტი ,,მისია,ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაზიარების მექანიზმი " (ბრძანება 55/4 25/06/2025). აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია შემუშავებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული მისიის, ხედვის და ღირებულებების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარების და საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმები, რაც გამოიხატება დაწესებულების შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებაში და სოციალური ქსელით საჯაროდ გაზიარებაში. რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა.(ა).ი.პ. - ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ,,მისია, ხედვა და ღირებულებები";
2. ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025);

3. ,,მისია,ხედვა და ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაზიარების მექანიზმი “(ცენტრის დირექტორის ბრძანება 55/4 25/06/2025);
4. ,,დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55. 36251631 12/06/2025);
5. დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 12 ივნისის შეხვედრის სხდომის ოქმი N 1;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ინდიკატორის შასაფასებლად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი- ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025), სადაც გაწერილია როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხები, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები (მუხლი 4). თავების მიხედვით დოკუმენტი ფარავს შემდეგ საკითხებს: 1.მეთოდოლოგია, 2. სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, 3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, ეტაპები, პროცესზე და შედეგებზე პასუხისმგებელი პირი. 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მონიტორინგის ნაწილში განსაზღვრულია, როგორ ხდება მონიტორინგი და ვინაა პასუხისმგებელი, რა ინტენსივობით ხორციელდება, მონიტორინგის პროცედურა, გეგმების მონიტორინგის შემდეგ გაწერილია შეფასების პროცესი, შეფასება მოიცავს მონაცემების ანალიზს და ბოლოს, როგორ ხდება შედეგებზე რეაგირება. 5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილების პროცედურები - როგორ ხდება გეგმებში ცვლილების შეტანის პროცედურები. განისაზღვრება ცვლილების შეტანის ობიექტური საფუძვლები, მათ

შორის მონიტორინგის შედეგები, როგორ ხდება ცვლილების შეტანის პროცედურა, რა გზას გადის დოკუმენტი, როგორ ხდება დამტკიცება და ცვლილების გაცნობა, გაზიარება დაინტერესებულ პირებთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025) დოკუმენტში გაწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი, დაგეგმვის პროცესის ეტაპები, პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი. სტრატეგიული გეგმის შემუშავების/გაზიარების/საბოლოო დამტკიცების წესი.
მაგრამ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული თავად დოკუმენტი ,,სტრატეგიული გეგმა“

წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“, რომელიც თან ახლავს თვითშეფასების ფორმას მე-20 დანართად, დაწესებულებას გაწერილი აქვს აღნიშნული გეგმის შემუშავება და საბოლოო დოკუმენტად ჩამოყალიბება ერთი წლის პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს პირველი პუნქტით გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი - ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”, სადაც გაწერს სტრატეგიული გეგმის ფორმატს - მას მისცემს ცხრილის სახეს თუ ნარატივის სახეს;
ასევე სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცებაზე იმუშაოს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, იმდენად, რამდენადაც ,,დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაში არაა გაწერილი მისი მისია და ფუნქციები (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55. 36251631 12/06/2025);

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025) დოკუმენტში გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, დაგეგმვის პროცესის ეტაპები, პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მისი მუშაობის წესი. სამოქმედო გეგმის შემუშავების/გაზიარების/საბოლოო დამტკიცების წესი.
მაგრამ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული თავად დოკუმენტი ,,სამოქმედო გეგმა“

წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“, რომელიც თან ახლავს თვითშეფასების ფორმას მე-20 დანართად, დაწესებულებას გაწერილი აქვს აღნიშნული გეგმის შემუშავება და საბოლოო დოკუმენტად ჩამოყალიბება ერთი წლის პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს პირველი პუნქტით გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი - ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”, სადაც გაწერს სამოქმედო გეგმების ფორმატს შესაბამისი სავალდებულო ველების ჩვენებით;
ასევე სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცებაზე იმუშაოს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილმა კომისიამ, იმდენად, რამდენადაც ,,დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაში არაა გაწერილი მისი მისია და ფუნქციები (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55. 36251631 12/06/2025);

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის პირველი სტანდარტის, მეორე კომპონენტის პირველი კრიტერიუმის მე-3 ინდიკატორის შეუსაბამობა ასევე გულისხმობს მე-4 ინდიკატორის შეუსაბამობას, რაც გამოიხატება იმით, რომ დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული დაწესებულების მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები და შესაბამისი რესურსები.

რამდენადაც დაწესებულებას წარმოდგენილ ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“, რომელიც თან ახლავს თვითშეფასების ფორმას მე-20 დანართად, დაწესებულებას გაწერილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ერთწლიან ვადაში, ეს თავის თავში მოიცავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი ჰქონდეს დაწესებულების მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები და შესაბამისი რესურსები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობისათვის დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი - ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”, სადაც დეტალურად გაწერს სტრატეგიული გეგმის პერიოდში დაწესებულების მიზნებს და შესაბამის ამოცანებს, რომელიც გამომდინარე იქნება დაწესებულების მისიიდან და ხედვიდან. გაწეროს სამოქმედო გეგმის გამომდინარეობა სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, რომლის შემუშავებას დააფუძნებს წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზსა და შეფასებაზე და გაწერს სამოქმედო გეგმის სავალდებულოდ შესავსებ ველებს, აღნიშნული გულისხმობს ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს პირველი პუნქტით გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულებას.

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული და წარმოდგენილი აქვს ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025), დოკუმენტში გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების წესი. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება ყოველკვარტალურად, ხოლო შეფასება წლის ბოლოს. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხდება 2,5 წლის შემდეგ და საბოლოო მპონიტორინგი ხდება სტრატეგიული პერიოდის დასრულებამდე 6 თვით ადრე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025) დოკუმენტში გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ხელმისაწვდომობის (მუხლი 6 ) და მისი დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები.
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საბოლოო ანგარიში საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სოციალურ გვერდზე (მუხლი 15).
გარდა ამისა დაწესებულებას ცალკე დოკუმენტად დამტკიცებული აქვს ,,მისია,ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაზიარების მექანიზმი "(ცენტრის დირექტორის ბრძანება 55/4 25/06/2025);

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36250801 21/03/2025);
2. ,,მისია,ხედვა და ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაზიარების მექანიზმი "(ცენტრის დირექტორის ბრძანება 55/4 25/06/2025);
3. ,,დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურის (ავტორიზაციის პროცესი) დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55. 36251631 12/06/2025);
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

## კურიკულუმის დასახელება

3) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.
4) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

## 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დადაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; ბრძანება N ბ55.36251632. 12/06.2025) ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი I (დანართი N4.1) და ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - ნაწილი II (დანართი N4.2).
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ -აღმზრდელის სახელმძღვანელო(დანართი N4.3).

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ბრძანება Nბ55.36251632. 12/06.2025) ბრძანების თანახმად სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მმართველობის სფეროში შემავალი ფილიალებისათვის (საბავშვო ბაღი), ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი შედეგების მისაღწევად და ბავშვთა ჰოლისტურად განვითარების მიზნით, შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და ფილიალებში, სადაც სასკოლო მზაობის ჯგუფებია დაემატოს სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. კურიკულუმების- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, დამტკიცების შესახებ ბრძანება არასწორი ფორმულირებითაა წარმოდგენილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, რომლის მაძიებელიც არის დაწესებულება, მოიცავს სასკოლო მზაობის ნაწილსაც. დანართში არ აქვს წარმოდგენილი სასკოლო მზაობის პრობრამა „თამაში“-ს აქტივობათა კრებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; ბრძანება N ბ55.36251701. 19/06.2025) „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“-ს დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევის, დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების წესი და პროცედურები. აღნიშნულ წესში მიეთითა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ეტაპები, კერძოდ: კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ჯგუფის მიერ კურიკულუმების გაცნობა; კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა და კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება. ამ პროცესის განხორციელებისათვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის პროცესის დაწყების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სახელობითად დამტკიცებული სია (ა(ა)იპ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; ბრძანება Nბ55.36251631. 12/06/2025). თუმცა, დოკუმენტში არ არის მკაფიოდ მითითებული პირთა უშუალო პასუხისმგებლობზები. კერძოდ: არ არის მითითებული სკოლამდელი აღზრდის ცენტრებისათვის ვინ შეარჩია ბრძანებაში მითითებული კურიკულუმები და არ ჩანს იყო თუ არა გადაწყვეტილება განსჯისა და ფიქრის შედეგი. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ პროცესის ამსახველ პირდაპირ მტკიცებულებად წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2, 18/06/2025, რომლის დღის წესრიგი არ შეესაბამება მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ პროცედურებს.

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; ბრძანება N ბ55.36251632. 12/06.2025) წინ უსწრებს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“-ს დამტკიცებას (ბრძანება N ბ55.36251701. 19/06.2025).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია, მოხდეს კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; ბრძანება N ბ55.36251701. 19/06.2025) „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.

დაკორექტირდეს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიან პერიოდზე. კერძოდ - მოხდება კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - ბრძანება N ბ55.36251701. 19/06.2025) „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად. დაკორექტირდება ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი

შედეგების მიღწევას კურიკულუმი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან: კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსის კომპეტენცია; კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი; კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო ფიზიკური გარემოს მოწყობა; თემის საჭიროებების და ინდივიდუალიუზმის გათვალისწინება. აღნიშნული მოთხოვნები ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში; განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას.
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ეხმება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აქტივობები ინტერაქტიურია და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ კურიკულუმის მიხედვით აქტივობები იგეგმება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები. უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური ტემპით ჩართვის, გამოწვევების მიღებისა და წარმატების განცდის შესაძლებლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N ბ55.36251701. 19/06.2025). ზემოთაღნიშნული წესი ითვალისწინებს კურიკულუმის გაზიარებას მშობლებთან და თემთან/მუნიციპალიტეტთან, ასევე გაზიარება გათვალისწინებულია ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესით (№ბ55.36251702 ბრძანება; 19.06.2025) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება №ბ55.36251704; 19/06/2025) არ არის გათვალისწინებული კურიკულუმის გაზიარება დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა მენეჯერის წარმოებული კურიკულუმის გაცნობა, გაზიარების ოქმი: ოქმი N1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საბავშო ბაღის თანამშრომელთა საერთო კრება, 23.06.2025 თანდართული ფოტო მასალით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კურიკულუმის გაზიარების შესახებ ინფორმაცია ასახული იყოს დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

1. ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“- ბრძანება №ბ55.36251701. 19/06.2025
2. (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ს/ნ.437371924) მმართველობის სფეროში შემავალ ფილიალებში (საბავშვო ბაღი) კურიკულუმის შეჩევისა და დანერგვის შესახებ ბრძანება №ბ55.36251632. 12/06.2025 ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და ფილიალებში (საბავშო ბაღი) სადაც სასკოლო მზაობის ჯგუფია დაემატოს სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

3. ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი" (ბრძანება Nბ55.36251702; 19.06.2025
4. დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ55.36251704; 19/06/2025)
5. მენეჯერის წარმოებული ოქმი;
6. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025). ბრძანების მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმავა) პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად: 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები). 2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს; 3. გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. 4. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. 5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება N55.36251703/1; 19/06/2025; საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით

სრულყოფილად წარმართვისთვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ) და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ)ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ)თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ)სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე)ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღმზრდელების დამტკიცებული გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების ფორმები, რომლებიც შედგენილია დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

დაწესებულებამ, ასევე წარმოადგინა გაერთიანების მმართველის ბრძანება გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში (საბავშო ბაღებში) გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ: ბრძანება N55/6; 25.06.2025)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს შესახებ (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025), აღნიშნული წესის შესაბამისად, გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელი, აღმზრდელ/პედაგოგი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი) მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა

მტკიცებულება გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცებისა და გრძელვადიანი გეგმების თანამონაწილეობით შედგენის პროცესის ამსახველი მასალა (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში (საბავშო ბაღებში) გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ: ბრძანება N55/6; 25.06.2025)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მიერ დამტკიცებული ბრძანების ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025) თანახმად, საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- მეთოდისტის პორტფოლიო
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- აღმზრდელის/აღმზრდელ პედაგოგის რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ: მაგალითად, დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.

აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს გრძელ და მოკლევადიან გეგმებს, რომლებიც შედგენილია მარეგულირებელი წესის მიხედვით და თანხვედრაშია კურიკულუმთან. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში (საბავშო ბაღებში) საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის საბავშვო ბაღის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ბავშის დაკვირვების, შეფასებსა და დაგეგმვის ფორმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N55/7; 25.06 2025) და ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მიერ დამტკიცებული ბრძანების ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი; „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025)), თანახმად, საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- მეთოდისტის პორტფოლიო;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- აღმზრდელის/აღმზრდელ პედაგოგის რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- ინდივიდუარი სასწავლო გეგმა.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს რაც ვლინდება შემდეგში: აღმზრდელები აფიქსირებენ ბავშვების ინდივიდუალურ პროგრესს და ასახავენ მას დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერებში. ფორმები შეესაბამება ობიექტური დაკვირვების ჩანაწერების მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ მოთხოვნას. ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო მოიცავს ბავშვზე ინდივიდუალური დაკვირვების ჩანაწერებს და მათ ნამუშევრებს (ნახატები, ფოტომასალა), რაც ასევე შეესაბამება მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს.

დაწესებულებაში ვიზიტისას წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში მოყოფ ფილიალებში (საბავშო ბაღებში) საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის საბავშვო ბაღის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ბავშის დაკვირვების, შეფასებსა და დაგეგმვის ფორმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N55/7; 25.06 2025) და ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.

ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) წარიმართება თამაშით ან რიტუალიზებული მოქმედებით; გამოიყენება სიმღერა, ცეკვა ტრანზიციის წინ მოტივაციის ასამაღლებლად; ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. აქტივობიდან აქტივობაზე (მაგ. ხატვიდან კითხვის კუთხეში, სენსორული კუთხიდან დასვენებაზე) გადასვლა წარიმართება სიმღერით, სიტყვიერი რიტუალით, მოძრაობითი იმიტაციით ან თამაშით. ეს დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუებით და გარემოს ვიზუალური დათვალიერებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები. რაც ვლინდება როგორც აღმზრდელის ინტერვიუში მოყვანილ მაგალითებში, ასევე ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფში არსებული რესურსით.
2. ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. ეს დადასტურდა აღმზრდელებისა და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებით, გარემოს მოწყობით. კერძოდ დაწესებულებაში განთავსებულია დრამატული თამაშების სივრცე, ხელოვნების სივრცე, მეცნიერების სივრცე, კვლევისა და აღმოჩენის სივრცე, სენსორული სივრცე, კუბურების სივრცე, სამაგიდო თამაშების სივრცე, წიგნიერების სივრცე.
3. ვიზუალური დათვალიერებით იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ ეზოში თავისუფალი და ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ეს დადასტურდა პერსონალის ინტერვიუებით და ვიზუალური დათვალიერებით. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა შეესაბამება კურიკულუმს, რაც ვლინდება შემდეგში: ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი/სენსორული თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისათვის, ბურთის თამაშისათვის, საქვიშე, საქანელა, სასრიალო, აიწონა-დაიწონა, დრამატული თამაშების სივრცე, მუსიკალური სივრცე, ქოხი, მოსასვენებელი კარავი, ხელოვნების სივრცე, ბოსტანი და ა.შ.

ბაღის შენობაში არის დარბაზი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ენერგია: ამისათვის მათ აქვთ სპორტული ინვენტარი (კეგლები, ბურთი, ჰულაჰუპი), ასევე თავისუფლად სარბენი სივრცე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გარე სივრცეში შექმნას კურიკულუმით განსაზღვრული სხვა სივრცეები, მაგალითად: ბოსტანი, სახელოსნო სივრცე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025)

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების საკვანძო პრინციპები. კერძოდ: საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრატქიკა, ყველა ბავშისათვის საკმარისი და მრავალფეროვანი რესურსების არსებობის უზრუნველყოფა; კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც წარედგინება გაერთიანების მმართველს და მტკიცდება კურიკულუმთან ერთად , თუმცა აღნიშნული ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. (წარმოადგინა მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური რაოდენობის ჩამონათვალი,სარეკომენდაციო ნუსხა)

დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა ასევე საინვენტარიზაციო აღწერა, რომელიც თარიღდება 2025 წლის 11 თებერვლით. რესურსების ჩამონათვალი არ შეესაბამება დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას და ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდება დამტკიცებული წესის შესაბამისად.

რჩევა

სასურველია

- დაწესებულებამ დაამტკიცოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ბრძანებით.
- განახლდეს საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტი (ჩატარდეს ინვენტარიზაცია).ოქმად შედგეს შეხვედრა, სადაც პედაგოგები მონაწილეობენ რესურსების საჭიროებების იდენტიფიცირებაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიან პერიოდზე. კერძოდ - დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას დამტკიცებული წესის და სქემის შესაბამისად. დაწესებულება ასევე გაითვალისწინებს რჩევას და დაწესებულება დაამტკიცებს

მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას ცენტრის დირექტორის ბრძანებით, განაახლებს საგანმანათლებლო რესურსების და წიგნების საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტს, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. ვერ მოვიკვლიეთ ჩანაწერი, თუ დაანგარიშების როგორი სქემა არსებობს, კერძოდ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა უახლესი საინვენტარიზაციო აღწერა.
ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა. დაწესებულება იყენებს რესურსების მოძიების ალტერნატიულ გზებს: მოგროვება, დონაცია, დამზადება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია, დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოს მათი მიწოდება.

### რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიან პერიოდზე. კერძოდ - დაწესებულება შექმნის საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხას კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოს მათ მიწოდებას რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს, აღძრავდეს ბავშვებში ცნობისმოყვარეობას, წაახალისოს კვლევა, კითხვების დასმა, შემოქმედებითობა, ემოციური და სოციალური უნარების განვითარება.
სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში.
დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში კედელზე მოთავსებული დღის განრიგი არაა ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით. რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში. ჯგუფებში წარმოდგენილია სივრცე ბავშვების ნამუშებრებისთვის, რომელსაც თავად ბავშვები იყენებენ, ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვებისთვის უსაფრთხოა.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა შეესაბამება კურიკულუმს, რაც ვლინდება შემდეგში: ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი/სენსორული თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისათვის, ბურთის თამაშისათვის, საქვიშე, საქანელა, დრამატული თამაშების სივრცე, მუსიკალური სივრცე, ქოხი, ამფითეატრი, მოსასვენებელი კარავი.

ბაღის შენობაში არის სენსო-მოტორული დარბაზი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ენერგია: ამისათვის მათ აქვთ სპორტული ინვენტარი (კეგლები, ბურთი, ჰულაჰუპი, ლახტი), ასევე თავისუფლად სარბენი სივრცე. დარბაზში დგას პიანინო და გამოიყენება მუსიკალური აქტივობებისას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

რჩევა
სასურველია, ჯგუფში ცენტრები მკვეთრად იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..................................................................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებულ მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც თემატურად არის ჯგუფის სხვადასხვა კუთხეში განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე. რესურსები განთავსებულია კონტეინერებში და მუყაოს ყუთებში, აქვს ვიზუალური მიმანიშნებლები.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა შეესაბამება კურიკულუმს, რაც ვლინდება შემდეგში: ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი/სენსორული თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისათვის, ბურთის თამაშისათვის, საქვიშე, საქანელა, დრამატული თამაშების სივრცე, მუსიკალური სივრცე, ქოხი, ამფითეატრი, მოსასვენებელი კარავი. ეზო აღჭურვილია ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..................................................................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................................................
რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ბალიშებით, ხალიჩითა და ფარდით, სადაც ბავშვებს განმარტოვების საშუალება აქვთ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, მაგიდების გადაადგილების შემთხვევაში. ბავშვებს აქვთ აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს.
ასევე, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს (ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, მოკლე კითხვარები, ჩექლისტები, სკალები, ცხრილები), რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.
დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის ქმნის ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშის შეფასების ჩანაწერებს და ბავშის ნამუშევრებს. აღნიშნული ფორმები დამტკიცებულია სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ბრძანებით. (ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში (საბავშო ბაღებში) საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის საბავშვო ბაღის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ბავშის დაკვირვების, შეფასებსა და დაგეგმვის ფორმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N55/7; 25.06 2025)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ ბრძანება N ბ55.36251703; 19/06.2025 - ის თანახმად, ბავშვის შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების გამოვლენას და ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში.

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტში ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მაქანიზმი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025), გაწერილი არ აქვს ემოციური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - რა მექნიზმებით/ხერხებით და საშუალებებით ქმნის დაწესებულებაში ბავშვებისათვის პროგნოზირებად გარემოს.

დაწესებულებას ასევე დამტკიცებული და წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36251703 19 /06/2025), სადაც მუხლი 7 განსაზღვრავს გარემოს ფიზიკურ მოწყობას ზოგადად, მაგრამ არც ამ დოკუმენტში არაა გაწერილი ბავშვისათვის პროგნოზირებადი გარემოს შექმნის, დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანმიმდევრობების ინფორმაციულობის შესახებ. რაც, ერთის მხრივ დაეხმარება ბავშვებს, რომ მათ დაცულად იგრძნონ თავი, ხოლო მეორეს მხრივ საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო პერსონალს უკეთ დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის და სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი ,,თამაში" ზუსტად აღწერს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი გარემოს და ინფორმაციული, პროცესების მომლოდინე დღის წესრიგის შექმნის სავალდებულოობას. რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს ჯგუფის ოთახების ვიზუალური დათვალიერებით - გარემო იყო პროგნოზირებადი, მიმანიშნებელი, დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების წინასწარ გაცნობის შესაძლებლობით, საგანმანათლებლო პროცესების მარტივად აღქმადობა დადასტურდა დასურათებული და განმარტებული დღის განრიგით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ დაარედაქტიროს ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მაქანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025) და ჩაამატოს ბავშვისათვის პროგნოზირებადი გარემოს და დღის წესრიგის შექმნის წესი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025), სადაც არის მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოკლე ჩანაწერი, რომ ,,...დაწესებულება უზრუნველყოფს ძალადობისაგან თავისუფალ გარემოს, აღმზრდელები და სხვა პერსონალი ფლობენ და იყენებენ არაძალადობრივი მოპყრობის მეთოდებს..., რომ ,,.... ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი მკაცრად დაიცავს კონფიდენციალურობის ნორმებს....“.

ასევე, ,,შრომის შინაგანაწესში” (ბრძანება N ბ55.36250901 31/03/2025), პერსონალის მოვალეობებში გვხვდება მხოლოდ მოკლე ჩანაწერი აღმზრდელის პოზიციისათვის: ,,დაიცვას აღსაზრდელის უფლებები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად“. სხვა რეგულაცია, თუ როგორ, რა მეთოდების და მექანიზმების საშუალებებით ქმნიან არაძალადობრივ გარემოს დაწესებულებაში, როგორ და რა ქმედებებით იცავენ ბავშვის უფლებებს და თავისუფლებებს თავიანთი საქმიანობის წარმართვის პროცესში, არ არის გაწერილი არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში. ასევე, არ დასტურდება, რომ ყველა თანამშრომელი იცნობს ,,ბავშვის უფლებათა კონვენციას” და ,,ბავშვთა უფლებათა კოდექსს”, რომ გავლილი აქვთ ტრენინგი ბავშვთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის საკითხებზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულყოს წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტი ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025), სადაც ცალკე რეგულაციად სრულყოფილად გაწერს ან ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს ,,ბავშვის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმები”, რომელიც დაფარავს შემდეგ საკითხებს: დაწესებულების ყველა პერსონალი აუცილებლად უნდა იცნობდეს ბავშვთა უფლებების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს - ,,ბავშვის უფლებათა კონვენციას და საქართველოს კანონს ,, ბავშვთა უფლებათა კოდექსს”, დაწესებულება ქმნიდეს არაძალადობრივ გარემოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პერსონალი ფლობდეს და თავისი საქმიანობის წარმართვის პროცესში იყენებდეს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს. მნიშვნელოვანია ასევე გაიწეროს მშობლების ჩართულობაც, მათი ცნობიერების ამაღლების გზები და მექანიზმები ბავშვის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიმართულებით. გაიწეროს ასევე აღნიშნული რეგულაციების შესრულების დადასტურების დოკუმენტირების წარმოების წესი.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიან პერიოდზე. კერძოდ - დაწესებულება სრულყოფს წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტს ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025), სადაც ცალკე რეგულაციად სრულყოფილად გაწერს ან ცალკე დოკუმენტად შეიმუშავებს ,,ბავშვის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმებს”, რომელიც დაფარავს შემდეგ საკითხებს: 1. დაწესებულების ყველა პერსონალი აუცილებლად უნდა იცნობდეს ბავშვთა უფლებების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს - ,,ბავშვის უფლებათა კონვენციას და საქართველოს კანონს ,, ბავშვთა უფლებათა კოდექსს”, დაწესებულება ქმნიდეს არაძალადობრივ გარემოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პერსონალი ფლობდეს და თავისი საქმიანობის წარმართვის პროცესში იყენებდეს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს. 2. ასევე გაიწერება მშობლების ჩართულობაც, მათი ცნობიერების ამაღლების გზები და მექანიზმები ბავშვის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიმართულებით. 3. გაიწერება ასევე აღნიშნული რეგულაციების შესრულების დადასტურების დოკუმენტირების წარმოების წესი, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის შესრულების მიზნით სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტი ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის მარეგულირებელი წესი" ბრძანება N ბ55.36251691 18/06/2025 და ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი" (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025) მუხლი 7 -,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შეთხვევაში მოქმედების პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტი" ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის N 437 დადგენილების მიხედვით. რეგულაციები მოიცავს ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაწესებულების მუშაობის წესს და ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის ეტაპებს და პროცედურებს. გაწერილი აქვს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენის, ბავშვის მდგომარეობის შეფასების, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირების, ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის მექანიზმები. რეგულაციით დამტკიცებული აქვს რეფერირების ფორმები დანართების სახით.

ამ ინდიკატორის მოთხოვნების შემდეგი ხაზი, რომ გამოყოფილი იყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა ძალლადობისაგან დაცვაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირი, დარეგულირებულია დაწესებულების მიერ. გაწერილია ფუნქციები, ქმედების ეტაპები, პროცედურები. წარმოდგენილია ,,ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის მიზნით რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის დამტკიცების შესახებ" ბრძანება (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/3 20/06/2025);

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ხელშეწყობის მოთხოვნა, როგორც ბავშვის ემოციური უსაფრთხოების და დაცულობის ელემენტები, გაწერილი აქვს წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მაქანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025), მუხლი 3 - ,,ბავშვის გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტეციის და ტრანზიციის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ტრანზიციის პროცესის ეტაპები. 2. ტრანზიციის სახეები და ფორმები, 3. ტრანზიციის უმტკივნეულოდ განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები/მიდგომები. 4. ტრანზიციის ხელშეწყობა და მშობელთა ჩართულობა.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესების წარმართვაში ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ელემენტები, როგორც საგანმანათლებლო კიმპონენტი, გამოხატება პრაქტიკული აქტივებებით, გარემოს იმგვარი მოწყობით, რომ ბავშვმა კომფორტულად იგრძნოს თავი, არ დაისტრესოს ახალ გარემოში მოხვედრის გამო, უცნობი ადამიანების გარემოცვაში ყოფნით, ახალი, უცხო წესებით და დაცულ იქნას მისი მორალური უსაფრთხოება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების საქმიანობაში თავს მოიყრის სხვადასხვა ტიპის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ბავშვის ფოტოები, ვიდეოები, ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ და სხვ), ასევე თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემები. აღნიშნული ინდიკატორი კი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი

მექანიზმი“ (ცენტრის დირექტორის  ბრძანება N55/2 20/06/2025) მოიცავს ასეთ თემას: მუხლი 6 - ,,ბავშვთა უფლებების მიმართულებით დაწესებულების პერსონალის ცნობიერების ამაღლების და კონფიდენციალურობის დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, სადაც არის მხოლოდ მოკლე ზოგადი ჩანაწერი, რომ ,,დაცულია ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ვინაობის, მისი ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა“, რომ ,,ბაღის ადმინისტრაცია და ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი მკაცრად დაიცავს კონფიდენციალობის ნორმებს“.  ასევე, დაწესებულების ,,შრომის შინაგანაწესი” (ბრძანება N ბ55.36250901 31/03/2025) არის მუხლი 3 - ,,პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
გარდა აღნიშნულისა დაწესებულების მიერ დამტკიცებულ ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი”-ში, (დამტკიცებული ცენტრის დირექტორის ბრძანებით N ბ55.36250941 04 /04/2025), ბავშვის პირადი საქმისათვის სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალში ერთ-ერთ მოთხოვნად განსაზღვრულია ,,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე“. ნებართვის ფორმა დამტკიცებულია იმავე რეგულაციის დანართი 3.
თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით ,,ა.(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბაზაზე, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ დამატებით გაწეროს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვის და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები და მისი  შემუშავების დროს იხელმძღვანელოს როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობით

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის მარეგულირებელი წესი” (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36251691 18/06/2025)
2. ,,ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის მიზნით (რეფერირება) პასუხისმგებელი პირის გამოყოფის დამტკიცების შესახებ“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N 55/3 20/06/2025);

3. ,,ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი მაქანიზმი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N55/2 20/06/2025);
4. ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (ცენტრის დირექტორის ბრძანებით N ბ55.36250941 04 /04/2025),
5. ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“ (ცენტრის დირექტორის ბრძანება N ბ55.36251703 19 /06/2025),
6. ,,შრომის შინაგანაწესი” ბრძანება N ბ55.36250901 31/03/2025

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2025 წლის ბიუჯეტი. დაწესებულება განკარგავს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს განსაზღვრული სუბსიდიის ფარგლებში. დაწესებულებას საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია. დაწესებულებამ 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა განახორციელა წინა წლის აგვისტოში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 08/08/2025 წლის N 04-362522071 წერილის საფუძველზე.

მაგრამ იმისათვის რომ შეფასდეს ინდიკატორის შესაბამისობა, დაწესებულებას არ აქვს ,,სამოქმედო გეგმა“, რომლის შემუშავება/დამტკიცება გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, დაწესებულების მიერ შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც არ მოიცავს საჭირო ფინანსური რესურსების გათვლას. სამოქმედო გეგმით გათავალისწინებული ყველა აქტივობების/ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების გათვლის შემდეგ, შესაძლებელი იქნება დადგინდეს

გეგმის რეალისტურობა, ანუ შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, დაწესებულებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურესით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ,,სამოქმედო გეგმა", სადაც დეტალურად გაწერს ყველა აქტივობას/შესასრულებელ სამუშაოებს ფინანსური რესურსების სწორი გათვლით.
რჩევა
.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვიან პერიოდზე. კერძოდ - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში შეიმუშავებს ,,სამოქმედო გეგმას", სადაც დეტალურად გაწერს ყველა აქტივობას/შესასრულებელ სამუშაოებს ფინანსური რესურსების სწორი გათვლით, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ფინანსური რესურსების სწორად და ეფექტურად განაწილების მიზნით იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, რაც სწორი დაგეგმვის და საჭირო რესურსების გათვლის, სუბსიდიის ფარგლებში სწორი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის საშუალებას აძლევს, აქ, ასევე, მოიაზრება დამტკიცებული კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეძენა/განახლება ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით, გარემოს შესაბამისი მოწყობის უზრუნველყოფა და სხვა. დაწესებულების მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ზ55.36251703 19/06/2025) მუხლი 5, მუხლი 6, მუხლი 7 გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა, რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება და გარემოს ფიზიკური მოწყობა.
მაგრამ იმისათვის რომ შეფასდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული ფინანსური რესურსი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ა),,სამოქმედო გეგმა", სადაც გაწერილი იქნებოდა შესაბამისი ღონისძიებები (შეძენა/განახლება)

თავისი საჭირო ფინანსური უზრუნველოფით და ბ) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული და დამტკიცებული კურიკულუმთან ერთად, რაც საჭირო საგანმანათლებლო რესურსების მობილიზების საფუძველია (2.2.2. პირველი ინდიკატორის მოთხოვნა), ანუ, თუ არ არის გაწერილი რაა გასაკეთებელი, რა სახის რესურსი და რა რაოდენობითაა საჭირო კურიკულუმის უზრუნველყოფისათვის, ვერ გვეცოდინება, რა ფინანსური რესურსია საჭირო, შესაბამისად ვერ შეფასდება დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას (საკმარისობა და დაფარვა), მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტი გაწერილია მუხლობრივ ჭრილში, რომელიც ინდიკატორი შეფასების საშუალებას არ იძლევა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ,,სამოქმედო გეგმა", სადაც დეტალურად გაწერს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ყველა რესურსის შეძენა/განახლების ღონისძიებებს ფინანსური რესურსების სწორი გათვლით.
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვიან პერიოდზე. კერძოდ - დაწესებულება შეიმუშავებს ,,სამოქმედო გეგმას", სადაც დეტალურად გაწერს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ყველა რესურსის შეძენა/განახლების ღონისძიებებს ფინანსური რესურსების სწორი გათვლით,რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის საკუთარი სისტემა, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და სხვა შინაარსობრივი მხარე. ვინაიდან დაწესებულება არის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლამდელი განათლების სფეროს რეგულირებისათვის დაფუძნებული საჯარო დაწესებულება, მისი საქმიანობა რეგულირდება მუნიციპალიტეტში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით და სრულად მათი რეგულაციების ფარგლებში განაგებს/მოიხმარს ფინანსურ სახსრებს. ხოლო მონიტორინგის განხორციელება საბიუჯეტო სახრების ხარჯვაზე უშუალოდ მერიის

აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით ხდება, მით უფრო, რომ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დაფინანსება", მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო დაწესებულების დაფინანსების ფორმას, წესსა და პირობებს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ,, ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმი" (ბრძანება N ბ55. 362511312 23/04/2025 ), რომელიც მხოლოდ მოკლე, ზოგად ნარატივის ხასიათისა, თუ რას წარმოადგენს მუხლობრივად ჩაშლილი ბიუჯეტი და არ მოიცავს ფინანსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, გადახედვის, შეფასების და ცვლილებების შეტანის მექანიზმებს.

რაც შეეხება მიმდინარე შესყიდვებს, დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო წესით და რეგულაციით, ხოლო მატერიალური ფასეულობების/რესურსების ინვენტარიზაციას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო წესის დაცვით ადგენს ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ინვენტარიზაციის შედეგებს აფორმებს საინვენტაიზაციო აქტით (ააიპ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ" ბრძანება 26.12.2024 N ბ55. 36243611);

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფიებულია**

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ სრულყოს ,, ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმი" (ბრძანება N ბ55. 362511312 23/04/2025 )
და გაწეროს მასში ფინანსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, გადახედვის, შეფასების და ცვლილებების შეტანის წესები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტი"
2. ,, ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმი" (ბრძანება N ბ55. 362511312 23/04/2025 );

3. ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N ბ55.36251703 19/06/2025)
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 08/08/2025 წლის N 04-362522071 წერილი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი** 1/12/2025

**ხელმომწერი** **სახელი გვარი** **ხელმოწერა**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

*ხარისხის ექსპერტი* ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

*კურიკულუმის ექსპერტი:* მარეხი ნიკოლაძე

*კვების დარგში ექსპერტი:* ელენე ფიცხელაური

*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* გელა გელაშვილი

დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი" (437341924)<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი | სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 24 ივლისის ბრძანება MES 6 25 0000912570 და 2025 წლის 07 აგვისტოს ბრძანება MES 6 25 0000960930 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: რაიონი ოზურგეთი, დაბა ნარუჯა<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 2025 წლის 13-14 აგვისტო |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2.„შენობა ნაგებობის ტექნიკური პასპორტი" - 2025 წლის 3 ივნისის მდგომარეობით ( ა.(ა).ი.პ. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის მიერ მომზადებული)<br>3.მიმართვა შსს სსდ -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი შენობა-ნაგებობებების სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების მიზნით დასკვნის მომზადების თაობაზე N 55-3625220102 08/08/2025;<br>4.„ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 აპრილის № 55. 36250981 ბრძანება)<br>5. ფოტომასალა | |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (არსებობის ვადით). წარმოდგენილია დოკუმენტი „შენობა ნაგებობის ტექნიკური პასპორტი" - 2025 წლის 3 ივნისის მდგომარეობით ( ა.(ა).ი.პ. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის მიერ მომზადებული), დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) (აღნიშნული გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთლიანი გეგმით), დაწესებულების აქვს მიმართვა შსს სსდ -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი შენობა-ნაგებობებების სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების მიზნით დასკვნის მომზადების თაობაზე. | დაწესებულებამ უზრუნველყოს, „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი"-ს მე-3 პუნქტით გაწერილი აქტივობის ჯეროვანი შესრულება. | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსებულია ორსართულიან შენობაში. ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.3. | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება გათვლილია 4 ასაკობრივ ჯგუფზე. ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ფუნქციური ჯგუფრი ოთახებით. დაწესებულებას 2-4 წალამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის აქვს ცალ-ცალკე საძინებელი ოთახი, ხოლო 4-6 წლიანთა ჯგუფებისათვის აქვს მოსასვენებელი სივრცე. სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია. თითოეულ ჯგუფს აქვს გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე (ინდივიდუალური კარადები) თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად. თითოეულ ჯგუფს აქვს სანიტარული კვანძი ბავშვებისათვის. დაწესებულებას აქვს სანიტარული კვანძი პერსონალისათვის. დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული სამყოფები, მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. დაწესებულებას აქვს დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი. დაწესებულებას აქვს გამოყოფილი სივრცე, სივრცე არის დერეფნის ტიპის, რომელსაც ესაზღვრება ოთახი, სადაც დასაწყობებული აქვთ შეშა და სარგებლობენ სამედიცინო სივრცეზე გავლით. არ არის მოწყობილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მომსახურებისათვის. დაწესებულებას აქვს კვების ბლოკი. დაწესებულებას აქვს სამეურნეო ზონა. შენობას არ აქვს პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის ორწლიანი გეგმით. დაწესებულების გათბობა ხდება შეშის ღუმელებით. დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას. დაწესებულების ტერიტორიაზე შემოღობვის მთლიანობის დასაცავად გარკვეულ მონაკვეთებში გამოყენებულია აზბესტის შემცველი მასალა ე.წ. შიფერი. | დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს მე-8 პუნქტით გაწერილი აქტივობის ჯეროვანი შესრულება. დაწესებულებამ გამოყოს და მოაწყოს სივრცე იზოლირებულად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის. შენობას მოსაწყობი აქვს პანდუსი. დაწესებულებამ უზრუნველყოს გათბობის სისტემა ნებისმიერ საწვავზე ცენტრალიზებულად. დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერიტორიიდან აზბესტის შემცველი მასალის გატანა. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციად გასაზიარებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ - დაწესებულება გამოყოფს და მოაწყოს სივრცეს იზოლირებულად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის 24 თვიან პარიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. ასევე შესაბამისობის გეგმით გაწერილია - დაწესებულება უზრუნველყოფს გათბობის სისტემას ნებისმიერ საწვავზე ცენტრალიზებულად 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. ასევე შესაბამისობის გეგმით გაწერილია - დაწესებულება უზრუნველყოფს ტერიტორიიდან აზბესტის შემცველი მასალის გატანას 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ ☐ | ☐ ☐ | ☑ ☑ | ☐ ☐ | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე (არის 10 უნიტაზი). დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე (არის 8 ხელსაბანი). დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით მოწყობილი არ არის ტუალეტის კაბინები (მოწყობა გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის ორწლიანი გეგმით) . დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის (მოწყობა გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის ორწლიანი გეგმით) . | დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს მე-6, მე-7 და მე-9 პუნქტებით გაწერილი აქტივობების ჯეროვანი შესრულება. | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ ☐ | ☐ ☐ | ☐ ☑ | ☐ ☐ | დაწესებულებას აქვს ეზო. ეზოს მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (ეზოს საერთო ფართი 4300.00 კვ.მ.). დაწესებულების ეზო შემოსაზღვრულია სხვადასხვა სიმაღლის (ნაწილობრივ 1.6 მ -ზ დაბალი) არართგვაროვანი მასალის ღობით და გარკვეულ მონაკვეთებზე დარღვეულია შემოზღუდვის მთლიანობა. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოს შემოფარგლვა არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ უნდა აღემატებოდეს 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასაზიარებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგამა. კერძოდ - დაწესებულება უზრუნველყოფს ეზოს შემოფარგლვას არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ უნდა აღემატებოდეს 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების ეზოში არის აღნიშნული მოწყობილობები და სივრცეები აღჭურვილი. ეზოს მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო მათი კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, დამაგრებულია მყარად. ზემოაღნიშნულის გარდა ეზოში არის მოცემენტებული აუზი, რომელსაც გადაფარებული აქვს მეტალის მავთულის ბადე ხის ჩარჩოზე გადაკრული, გამოშვერილი წვეტიანი დაბოლოებებით, რომელიც შეიცავს ტრამვის საფრთხეს. ეზოში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით ( ბალახის საფარით, რბილი ხელოვნური ზედაპირით). ეზოს თავშეყრის ადგილებში (მაგრამ | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოში არსებული მოცემენტებული აუზის იმდაგვარი გადხურვა, რომელიც გამორიცხავს ტრამვის საფრთხეს. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასაზიარებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ - დაწესებულება უზრუნველყოფს ეზოში არსებული მოცემენტებული აუზის იმდაგვარი გადახურვას, რომელიც გამორიცხავს ტრამვის საფრთხეს 24 თვიან |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (მიწა, ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. არ არის შემდეგი ტიპის ზედაპირი - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. ეზოს ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | | | პარიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობაში არ არის მინის ტიხრები და კედლები, არც კარები ნაწილობრივ შემინული. ჯგუფურ უჯრედებში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან ნაკლებია 90 სმ-ზე (მერყეობს 72-77 სმ-ს ფარგლებში), ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან არ არის მოწყობილი დამცავი ბარიერი. დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილი არ არის კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი (მოწყობა გაწერილია შესაბამისობის ორწლიანი გეგმით). ფანჯრებზე არ არის მოწყობილი დამცავი ბადე და ჩაჭრისათვის საჭირო მოწყობილობა | დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი"-ს მე-4 პუნქტებით გაწერილი აქტივობის ჯეროვანი შესრულება. გარდა ამისა, დაწესებულებამ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოაწყოს დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებული უნდა იყოს ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე უნდა გამორიცხავდეს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას. დაწესებულებამ ფანჯრებზე დამცავი ბადის ბარიერის მოწყობასთან ერთად უნდა მოაწყოს საჭიროების შემთხვევაში ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრისათვის აუცილებელი მოწყობილობა. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად გასაზიარებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ- დაწესებულება ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოაწყობს დამცავ ბარიერს არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებული იქნება იყოს ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება აღემატებოა 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას. დაწესებულება ფანჯრებზე დამცავი ბადის ბარიერის მოწყობასთან ერთად მოაწყობს საჭიროების შემთხვევაში ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრისათვის აუცილებელი მოწყობილობას, 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | შენობაში ეზოდან შესასვლელს არ აქვს საფეხურები. შენობის შიგა კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც (მოცემენტებული დაღერღილი ქვის ნარევით, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები). დაწესებულების შენობის კიბის საფეხურების არაერთგვაროვნების გამო კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე არ არის გამოყენებული განმასხვავებელი მასალა საფეხურების დონეების გარჩევადობის უზრუნველსაყოფად. საფეხურებზე არის მხოლოდ ორიენტირების ვიზუალური მიმანიშნებლები. დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურები არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს (ბავშვებისათვის განკუთვნილი სახელური არ აქვს). ენობის შიდა კიბე მიუყვება კედელს, მეორე მხრიდან მიუყვება მოაჯირი და უწყვეტი სახელური. კიბის მოაჯირს აქვს ერთი გრძივი ჰორიზონტალური კონსტრუქცია და ვერტიკალური დგარები 15-20 სმ დაშორების და ეს ღიობები ამოწნულია კუსტარულად კანაფის/კაუჩუკის მასალის თოკით დამცავი ბადის იმიტაციით. არ აქვს წვეტიანი ელემენტები. | დაწესებულებამ შენობის კიბის საფეხურების არაერთგვაროვნების გამო კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე მოაწყოს/მიაკრას განმასხვავებელი მასალა საფეხურების დონეების გარჩევადობის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებაში უნდა მოეწყოს კიბის უჯრედის სახელურები შესაბამისად სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასაზიარებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ- დაწესებულება შენობის კიბის საფეხურების არაერთგვაროვნების გამო კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე მოაწყობს/მიაკრავს განმასხვავებელი მასალა საფეხურების დონეების გარჩევადობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში მოეწყობა კიბის უჯრედის სახელურები, შესაბამისად სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. |
| | თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს არ აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება, არც კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება არ არის გაკეთებული. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრი კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, არ არის დაფარული მომრგვალებით. ვიზიტის დროს, შენობის იმ სივრცეებში, სადაც სავარაუდოდ ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები არ დაფიქსირებულა. | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს უნდა გაუკეთდეს 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე უნდა გაუკეთდეს მარკირება სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრი კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, უნდა დაიფაროს მომრგვალებით. | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები უნდა იყოს დაფარული ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | [illegible] შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ- დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს გაუკეთდება 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრი კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, დაიფარება მომრგვალებით ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავით 24 თვიან პერიოდზე, ხოლო კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე გაუკეთდება მარკირება სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და და 150 სმ-ზე 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. |
| | ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, გამოყენებულია დამცავები. ათურები დაფარულია დამცავი ფარით და ასევე გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა. დაწესებულებაში არ არის სარკე. შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული, მიმაგრებულია იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის. ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას. | | | |
| | ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| | 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი ზომის მაგიდები (53-54 სმ) და ერთი ზომის სკამები (28-30 სმ) შესაბამისი ზომის ინვენტარით უზრუნველყოფა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით | დაწესებულებამ უზრუნველყოს, ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი“-ს მე-5 პუნქტებით გაწერილი აქტივობის ჯეროვანი შესრულება. | | |
| | 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი ზომის საწოლები (150-70 სმ). აღნიშნული ინდიკატორით გათვალისწინებული ინვენტარიდან და მოწყობილობიდან, დაწესებულებას აქვს მხოლოდ ლეიბები. ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით). საფენების გამოსაცვლელი მაგიდა მოწყობილია ოწყობილია საძინებელ ოთახში 2-3 წლიანთა ასაკომრივ ჯგუფში. | | | |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა და 4-5 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისათვის არის ერთი ჯგუფური ოთახი აქტივობებისათვის, საძინებელი და მისაღები, ხოლო, 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფისათვის არის ერთი ჯგუფური ოთახი აქტივობებისათვის და მისაღები. ეზოს ფართი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით აღებატება 3 კვ.მ-ს (ეზოს საერთო ფართი 4260.00 კვ.მ. დაწესებულებას ჰყავს 4 აღმზრდელი და 4 მეორე ცვლის აღმზრდელი 4 აღმზრდელის თანაშემწე. 8 ხელსაბანი, 10 უნიტაზი, 125 სკამი, 44 მაგიდა, საწოლი 25 ცალი 2-3 წლიანთა ჯგუფისათვის, ინდივიდუალური კარადები ორი საკიდით. | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი,,ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 აპრილის Nბ 55. 36250981 ბრძანება) სადაც არ აქვს გათვალისწინებული, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბავშვთა მოთხოვნილ რაოდენობაზე გათვლილი კურიკულემით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი. დეკლარირებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა ვერ დასტურდება რის გამოც მე-2 სტანდარტის, მე-2 კომპონენტის, მე-2 კრიტერიუმის პირველი ინდიკატორის შეუსაბამობაა დაფიქსირებული | | სასურველია დაწესებულებამ დააკორექტიროს დამტკიცებული დოკუმენტი,,ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 აპრილის Nბ 55. 36250981 ბრძანება). მექანიზმში გაწეროს ბავშვთა მოთხოვნილ რაოდენობაზე საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა დეკლარირებული კურიკულუმით გათვალისწინებული. | |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.



ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე

1.12.2025.

დანართი №2

მ

**საფირმო სახელწოდება:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ს/კ 437371924
**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღი

**ბრძანების N:** MES 6 25 0000912570 - 24.07.2025 და ცვლილება ბრზანებაში MES 9 25 0000960930 - 07.08.2025

**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** ოზურგეთის რაიონი, დაბა ნარუჯა
(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)

**ვიზიტის თარიღი:** 13/08/2025

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.ააიპ ოზურგეთის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის კვების ორგანიზნებისა და რაციონის კვების ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი - (დანართი 14) - ბ55.36250792 - 20.03.2025<br>2. ააიპ ოზურგეთის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის და მ მმართველობის სფეროში შემავალი ფილიალების (ს/ბაღი) ის 10 დღიანი პერსპექტიული მენიუ და კერძების კარტოთეკის დამტკიცების ბრძანება - (დანართი 15 და დანართი 15.1) - ბ55.36251711 - 20.062025<br>3.ააიპ ოზურგეთის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის შესაბამისობის გეგმა სოფელი დაბა ნარუჯის - დანართი 20 - 23.06.2025<br>დამატებითი დოკუმენტები: 1. დღიური მენიუს ზედნადები (მენიუს დღიური ფაქტურის დაწესებულების ვერსია) ; 2. კვების განრიგი; 3; ინვენტარიზაციის ჟურნალი და ჯგუფში განთავსებული მატერიალური ფასეულობების ცხრილი; 4. განცხადება ჭურჭლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. 5; ნედლეულის მიღების ჟურნალი; 5. მარაგების მართვის ჟურნალი (ყავისფერ ყდიანი); 6. წყლის გამოცდის ოქმი; 7. ალერგიულ ბავშვთა კვების SoP და ბაღის მიერ შედგენილი ჟურნალი სადაც ხდება კვებით ალერგიებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; 8. აკრძალური და ლიმიტირებული პროდუქტის დოკუმენტი SoP; 9 პროდუქტის წუნდების ჟურნალი 10 მანქანა დანადგარების რეცხვის ჟურნალი. 11. მაკორექტირებელი ქმედების ჩანაწერების ჟურნალი. 9. სურსათის ეროვნული გააგენტოს ინსპექტირების აქტი - 07.05.2025; |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | V | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | V | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | | | | |
| 1.1 | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.1 დაწესებულებას გამოცემული აქვს ბრძანება ბ55.36250792 - 20.03.2025 რომლითაც უნდა იყოს დამტკიცებული მარეგულირებელი წესი, თუმცა ბრძანებაში არსებული ინფორმაცია, მარეგულირებელი წესის დოკუმენტები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან. კერძოდ, მარეგულირებელი წესის თავფურცელზე არ არის მითითებული ბრძანების ნომერი, თარიღი (დღე/თვე/წელი) და ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა/ბეჭედი. დაწესებულებას მარეგულირებელ წესში განსაზღვრული აქვს რომ დანართი 2-ით პერსპექტიული მენიუ ხოლო დანართი 5-ით კერძების კარტოტეკაა დამტკიცებული, თუმცა დაწესებულების მხრიდან აღნიშნული დანართების წარმოდგენა ვერ მოხდა. ინტერვიუს დროს, დადგინდა რომ დაწესებულებას ცალკე ბრძანებით აქვს გამოცემული პერსპექტიული მენიუ და კერძების კარტოთეკა ბ55.36251711 - 20/06/2025, რაც შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში მარეგულირებელ წესში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ბრძანების ნომერი და არა არარსებული დანართები. დაწესებულებას მარეგულირებელ წესში განსაზღვრილი აქვს მენიუს უზრუნველყოფის ფორმა, რაც გულისხმობს სტაციონარულ კვებას, ნედლეულის შესყიდვის ტიპებს, თუმცა არ არის გაწერილი რა სიხშირით მიეწოდება ნედლეული. არ არის დეტალურად აღწერილი მენიუს პროდუქტების უზრუნველყოფის საკითხი. ინტერვიუთი დადგინდა, რომ ალერგიის და სხვა კვებითი აუტანლობის შესახებ ინფორმაციას ბაღი აგროვებს ინდივიდუალურად თვითოულ ბავშვზე მშობლის კითხვარის ფორმატით, რომელიც არ არის დამტკიცებული მარეგულირებელ წესში. ამასთანავე მარეგულირებელ წესში დამტკიცებულია დანართი 1-ის საინფორმაციო ფურცლი რომლის შესაბამისადაც მოხდება ალერგიისა და სხვა კვებითი აუტანლობის შესახებ ინფორმაციის შევსება. დაწესებულების მხრიდან ასევე წარმოდგენილ იქნა "ალერგიულ ბავშვთა კვების SoP-ი" რომელიც ასევე არ არის დამტკიცებული. მარეგულირებელ წესში მე-5 მუხლში გაწერილია, რომ ხდება პროდუქტის და მზა კერძების ხარისხის კონტროლის პროცესი თუმცა კონკრეტულად ვინ (პოზიცია) ახორციელებს აღნიშნულს, არ არის განსაზღვრული. ინტერვიუს მიხედვით დადგინდა რომ პროდუქტის და მზა კერძების ხარისხის კონტროლი განხორციელდება სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად, რომლის დროსაც გაერთიანების მხრიდან მოთხოვნილი იქნება ნედლეულის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, მ.შ ლაბორატორიული ოქმები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროდუქტების და ხარისხის კონტროლის SoP, რომელიც არ არის დამტკიცებული მარეგულირებელ წესში, ასევე არსებულ SoP-ში გაწერილი საქმიანობების და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების საქმოანობები არ არის შესაბამისი. ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მზა კერძების ხარისხი კონტროლისთვის დაწესებულება აიღებს პროდუქტის სინჯებს და შეინახავს 24 საათის განმავლობაში. მარეგულირებელ წესში მე-6 მუხლის მე-5 ქვეპუნქტით გადაცდენის ალბათიბის შესამცირებლად განსაზღვრულია საკვები პროდუქტების დამუშავების შესაბამისი პირობები ასევე მარეგულირებელ წესში გაწერილია რომ ხდება კვების დროს მეთვალყურეობა რაც ასევე დადასტურებულ იქნა ინტერვიუს პროცესში. თუმცა მარეგულირებელ წესში არ არის განსაზღვრული თუ ვინ მოახდენს აღნიშნულ პროცესზე დაკვირვებას. 1. 2 მარეგულირებელ წესში მოიძებნა ცხრილი პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულების და ქიმიური შემადგენლობის შესახებ, თუმცა ცხრილს არ აქვს არც დასახელება და არც დანართის ნომერი, შესაბამისად ვერ დგინდება მისი რელევანტურობა. ამასთანავე, ინტერვიუს დროს გაერთიანების ნუტრიციოლოგმა აღნიშნა რომ აღნიშნული ცხრილით ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს. თუმცა, მითითებულ ცხრილში გაწერილია ისეთი პროდუქტები რომელიც არ გვხვდება პერსპექტიულ მენიუში. 1.3 როგორც ზემოთ ავღნიშნე დაწესებულებას მარეგულირებელ წესში მითითებული აქვს რომ დანართი 2-ით დამტკიცებული აქვს 10 დღიანი 2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ თუმცა ვერ მოხდა დანართი 2 ის წარდგენა. ამასთანავე დაწესებულებას პერსპეტიული მენიუ დამტკიცევული აქვს ცალკე ბრძანებით ბ55.36251711 - 20/06/2025 თუმცა ბრძანება და დანართები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან. ასევე დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული ყოველდღიური მენიუ ფაქტურა. ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოგვიდგინა "მენიუს ზედნადები კვების პროდუქტების გაცემაზე" - რაც სრულყოფილად არ მოიცავს ინფორმაციას რასაც დღიური მენიუ ფაქტურა უნდა აკმაყოფილებდეს. 1.4 როგორც ავღნიშნე დაწესებულებას მარეგულირებელ წესში მითითებული აქვს რომ დანართი 5-ით დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი მენიუს კარტოტეკა, თუმცა ვერ მოხერხდე დანართი 5 ის წარდგენა. ამასთანავე დაწესებულებას კერძების კარტოთეკები დამტკიცევული აქვს ცალკე ბრძანებით ბ55.36251711 - 20/06/2025, თუმცა ბრძანება და დანართები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან. დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი მენიუს კარტოთეკა თუმცა კარტოთეკის ინფორმაციით განსაზღვრული მოთხოვნა , კერძოდ ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა); და ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. არ არის დაკმაყოფილებული. | 1.1 დაწესებულებამ სრულყოფილად შეიმუშაოს და დაამტკიცოს კვების მარეგულირებელი მექანიზმი. ისე რომ როგორც მარეგულირებელი წესის, ასევე პერსპექტიული მენიუს და კარტოთეკის თავფურცელზე იყოს მითითებული ბრძანების ნომერი, თარიღი (დღე/თვე/წელი) და ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა/ბეჭედი. რეკომენდებულია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს ერთი მეთოდოლოგიური დოკუმენტი რომელშიც გაერთიანებული იქნება ბევშვების კვების პროცესთან დაკავშირებული თემები. მარეგულირებელ წესში დანართები უნდა იყოს დანომრილი, და ჰქონდეს შესაბამისი დასახელებები. მარეგულირებელ წესში გაწერილი ტექსტი და დანართების შესაბამისობა უნდა ხდებოდეს პრაქტიკაშიც. დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში გაწეროს კვების უზრუნველყოფის დეტალები. მაგ: რა სიხშირით მიეწოდება ნედლეული. როგორ არის განსაზღვრული და დარეგულირებული პროდუქტების უზრუნველყოფის საკითხი. ვინ არის პასუხისმგებელი პირი და ა.შ. 1.2 მარეგულირებელ წესში დამტკიცდეს ცხრილი პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულების და ქიმიური შემადგენლობის შესახებ, რომელსაც ექნება სათაური და დანართის ნომერი. ამასთანავე ცხრილში გაიწეროს ის პროდუქტები რომელიც გვხვდება პერსპექტიულ მენიუში. 1.3 დაწესებულებამ 1 ბავშვზე გაანგარიშებით დაამტკიცოს 10 დღიანი 2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ (რომლის თავფურცელზე იქნება ბრძანების დამტკიცების ნომერი, თარიღი (დღე/თვე/წელი) და ხელმძღვანელის ხელმოწერა/ბეჭედი) რომელიც დააკმაყოფილებს # 487 ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს მაგალითად დანართი 18-ის შესაბამისად. ასევე დაამტკიცოს ყოველდღიური მენიუ ფაქტურა და მენიუფაქტურის შედგენის დროს იხელმძღვანელოს გზამკვლევით გვ 94. პერსპექტიულ მენიუში, ყოველდღიურ ფაქტურაში, კარტოტეკაში და პროდუქტების ენერგეტიკულ ღირებულებაში, პროდუქტების დასახელება და ინგრედიენტების ჩამონათვალი მითითოს სრულფასოვნად. პერსპექტულლ მენიუში ასევე გამახვილდეს ყურადრება პროდუქტის და ინგრედიენტების სწორ დასახელებებზეც: მაგ: მითითებულია მწვანილი, თუმცა კონკრეტულად რომელი მწვანილისგან შედგება კერძი არ არის იდენტიფიცირებადი, ასევე რძე რამდენ %-იანია და ა.შ 1.4 დაწესებულებამ დაამტკიცოს 10 დღიანი/2 კვირიანი მენიუს კარტოთეკა (რომლის თავფურცელზე იქნება ბრძანების დამტკიცების ნომერი, თარიღი (დღე/თვე/წელი) და ხელმძღვანელის ხელმოწერა/ბეჭედი) ასევე, კარტოთეკაში განსაზღვრული პუნქტები ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა) და ზ) პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით უნდა იყოს დაკმაყოფილებული. | 1.1 დაწესებულებამ იხელმძღვანელოს მარეგულირებელ წესში განსაზღვრული დანართი 1-ით და ალერგიის ან კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების ინფორმაცია შეაგროვოს მითითებული საინფორმაციო ფურცლით. დაწესებულებამ მარეგულირებელი წესით დაამტკიცოს "ალერგიულ ბავშვთა კვების SoP"-ი დაწესებულებამ იხელმძღვანელოს მარეგულირებელ წესში განსაზღვრული მიკვლევადობის ჟურნალით ან დაამტკიცოს ის არსებული ჟურნალები რომლითაც აგროვებს ნედლეულის ხარისხის და მიკვლევადობის შესახებ ინფორმაციას. მარეგულირებელ წესში გაიწეროს თუ ვის მიერ ხდება ბავშვების კვების პროცესზე დაკვირვება. | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 9 თვეზე გაწერილი ინდიკატორების მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის ატივობებს - კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისობას კვების უზრუნველყოფის მექანიზმში გაწერილი პუნქტების, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება | | | |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება წარმოდგენილი მენიუს დღის განრიგით თუმცა აღნიშნული კვების განრიგი არ არის დამტკიცებული მარეგულირებელი წესით. ასევე კვების განრიგის საათები იდენტიფიცირდება პერსპექტიულ მენიუში. კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას: 9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად). რაც ასევე დასტურდება პერსპექტიული მენიუდან და დღის განრიგიდან, თუმცა მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული არ არის სწორად აღნიშნული, რადგან მითითებულია მხოლოდ სამჯერადი კვება. მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება არ ნაწილდება შემდეგნაირად: საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15% დაწესებულებას არ აქვს სეზონური მენიუ შესაბამისად არ არის გათვალისწინებულია სეზონურობა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (დანართი 20) სადაც განსაზღვრულია რომ სეზონური მენიუს შემუშავება უნდა დასრულდეს 2026 წლის აგვისტოს ბოლომდე. ინტერვიუს საფუძველზე გაერთიანების ხელმძღვანელთან დადგინდა რომ ამ ეტაპზე ინიცირებულია გაერთიანების მხრიდან აღნიშნული საკითხი და ხდება ქმედითი ნაბიჯების დასახვა. მენიუში ერთი და იგივე კერძი მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით მაგალითად: 1 კვირის მენიუში სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სადილზე მეორდება საქონლის ხორცი და ა.შ საუზმე არ არის დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავდეს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა ან/და ხილს. რაც განსაკუთრებით იკვეთება: 1 კვირის - ხუთშაბათს, პარასკევს; მე-2 კვირის: სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს სადილი არ არის დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს. ასევე არ მოიცავს სავალდებულო კომპონენტებს წყალს და რძის კომპონენტს. წახემსება არ არის დაგეგმილი იმგვარად, რომ მოიცავდეს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს სასმელი (წყალი, ხილის ჩაი, რძე) პერსპექტიულ მენიუში არ არის გაწერილი. ინტერვიუს დროს სიტყვიერად დადგინდა რომ წყლის მიწოდება ხდება სურვილისამებრ მუდმივად, ხოლო ხილის ჩაი და დაბალცხიმიანი რძე ბავშვს მიეწოდება მენიუს შესაბამისად. ამასთანავე პერსპექტიულ მენიუში 1 კვირის ხუთშაბათს 2 კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს დღის განმავლობაში პერსპექტიულ მენიუში არც რძე და არც ხილის ჩაი არ არის გაწერილი. | მენიუ დაიგეგმოს იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება განაწილდეს შემდეგნაირად: საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15% დაწესებულემაბ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. მენიუში დაიგეგმოს იმგვარად რომ ერთი და იგივე კერძი არ მეორდებოდეს ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით. საუზმე დაიგეგმოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა ან/და ხილს. სადილი დაიგეგმოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: 4 ან 5 კომპონენტს. ასევე უნდა იყოს გაწერილი სავალდებულო კომპონენტები როგორიცაა წყალი და რძის კომპონენტი. წახემსება დაიგეგმოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: შაქრის ნაკლებად შემცველ ბურღულს/ახალ ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს. | მარეგულირებელ წესში დამტკიცდეს კვების განრიგი. მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში სწორად გაიწეროს კვების განრიგი და მენიუ განრიგის ცხრილი დამტკიცდეს მარეგულირებელ წესში. პერსპექტიულ მენიუში გაიწეროს და გაიზარდოს წყლის, რძის, ხილის ჩაის მოხმარება. | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 9 თვეზე გაწერილი ინდიკატორების მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის ატივობებს - კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს მენიუს დაგეგმვის მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობას, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს)** | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით გამოვიდა 1257.98 კკალ რაც დაბალია დადგენილ დღიურ კალორიულობასთან. დაწესებულების მიერ 10 დღიან 2 კვირიან მენიუ-ფაქტურაში არ არის ინდივიდუალურად დაანგარიშებული - ცილის, ცხიმის და ნახშირწყლის საერთო ჯამი. პერსპექტიული მენიუდან ამოკრებილი და დაანგარიშებული ინფორმაციით ცილის, ცხიმის და ნახშირწყლების შემცველობა არ აკამყოფილებს დადგენილ მაჩვენებლებს. . დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში შეადგენს 1795 გ-ს რაც აღემატება დადგენილ ნორმას, უფრო დეტალურად - პური შეადგენს 890 გ-ს, მარცვლეული და ბურღული შეადგენს 815 გ-ს, საკონდიტრო ნამცხვარი შეადგენს 90 გ-ს. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში შეადგენს 2 312 გ-ს რაც ბევრად ნაკლებია დადგენილ ნორმაზე უფრო დეტალურად - ხილი მ.შ ხილის ჩაი შეადგენს 590 გ-ს, ბოსტნეული შეადგენს 842 გ-ს, კარტოფილი შეადგენს 880 გ-ს. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში სასმელი რძე და რძის პროდუქტები 10 დღის განმავლობაში შეადგენს 1 420 რაც ბევრად ნაკლებია დადგენილ ნორმაზე, უფრო დეტალურად - რძე სასმელად 10 დღიან 2 კვირიან მენიუში მხოლოდ განსაზღვრულია 1 კვირის სამშაბათს და 2 კვირის ორშაბათს სამხარზე, რაც ნიშნავს რომ ორ კვირიან მენიუში ბავშვი იღებს 120 მლ რძეს. თითო ულუფაზე 60 მლ-ს, ხოლო, რძე და რძის პროდუქტები შეადგენს 1300 მლ-ს. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში ხორც-პროდუქტები10 დღის განმავლობაში შეადგენს 980 გ-ს რაც აღემატება დადგენილ ნორმას უფრო დეტალურად - საქონლის ხორცი შეადგენს 700 გ-ს, ქათმის ფილე შეადგენს 210 გ-ს, თევზის ფილე შეადგენს 70 გ-ს. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში ცხიმი 10 დღის განმავლობაში შეადგენს 435 გ-ს რაც აღემატება დადგენილ ნორმას უფრო დეტალურად - მცენარეული ზეთი შეადგენს 190 გ-ს, ხოლო ნაღების კარაქი შეადგენს 245 გ-ს. | დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს 10 დღიანი პერსპექტიული მენიუ ისე რომ, დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით უნდა შეადგენდეს 1292 კილოკალორიას (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/- 10 კკალ); დაწესებულებამ შადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით შეადგენდეს 50.37გრამს (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით შეადგენდეს 49.57გრამს (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით შეადგენდეს 160.82 გრამს (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, თითოეულ ბავშვზე პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, არ აღემატებოდეს 1300 გ-ს. დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, თითოეულ ბავშვზე ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში შესადგენდეს 4300 გ-ს. დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, თითოეულ ბავშვზე რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, შეადგენდეს 4870 მლ-ს. დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, თითოეულ ბავშვზე, ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, შეადგენდეს 840 გრ-ს. დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს პერსპექტიული მენიუ ისე რომ, თითოეულ ბავშვზე, ცხიმი 10 დღის განმავლობაში, შეადგენდეს 220გ-ს. | ორცხობილა რომელიც შეტანილია მენიუში შეიცავს 18,8 გ ცხიმს და 73,3 გ ნახშირწყალს რაზეც უმჯობესია იყოს ყურადღება გამახვილებული შესყიდვის დროს, ასევე ჯემთან მიმართებაში, დამატებული შაქრების რაოდენობას უნდა მიექცეს ყურადღება. | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 9 თვეზე გაწერილი ინდიკატორების მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის ატივობებს - კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს მე-3 პუნქტში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისობას მენიუ ფაქტურის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად კი უნდა იყოს 2.5 გ რადგან დაწესებულებაში ხორციელდება კვების - 75 %. აღნიშნულის შესახებ დაწესებულებას აქვს შედგენილი "აკრძალური და ლიმიტირებული პროდუქტების დოკუმენტების" ჩამონათვალი, ამასთანავე ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ არის დამტკიცებული მარეგულირებელი წესით. პერსპექტიულ მენიუში და კერძების კარტოტეკაში მაღალია მარილის რაოდენობა. მაგ: 1 კვირის ორშაბათს მარილის რაოდენობა შეადგენს 4 გ-ს. ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მზარეულები მიყვებიან პერსპექტიულ მენიუს და კარტოთეკას. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით შაქრის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის 20 გრამის რაც აკმაყოფილებს დადგენილ ნორმას. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები. დაწესებულების მიერ | | | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 9 თვეზე გაწერილი |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
